ხაშურის მოამბე

№7 (478) 3 მარტი, ორშაბათი, 2025 წელი

3 მარტი დედის დღეა

ლესია უკრაინკას დაბადების 154 წლის იუბილესთან დაკავშირებით, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებმა, დაბა სურამში, პოეტის ბიუსტი ყვავილებით შეამკეს.

მოქალაქეთა საყურადღებოდ!

ძვირფასო ხაშურელებო, მუნიციპალიტეტის მერია მადლობას გიხდით გაგებისა და მოთმინებისთვის, რასაც თითოეული თქვენგანი იჩენს დიდთოვლობით გამოწვეულ პრობლემებთან გამკლავებისას.

მუნიციპალიტეტი იყენებს ყველა არსებულ რესურსს, რათა გაიწმინდოს ცენტრალური და სოფლებთან მისასვლელი გზები.

გვინდა, განსაკუთრებული მადლიერება გამოვხატოთ ყველა იმ პირის თუ კომპანიის მიმართ, ვინც უანგაროდ ეხმარება მუნიციპალიტეტს დიდთოვლობის შედეგების ლიკვიდაციაში.

ბოლო დღეებში მოსახლეობის მხრიდან განსაკუთრებით მოიმატა მომართვიანობამ კერძო ეზოების და კერძო სახლების სახურავების თოვლისგან გათავისუფლების მოთხოვნით.

მიუხედავად ჩვენი დიდი სურვილისა მაქსიმალურად დავეხმაროთ მოსახლეობას, არსებული რესურსის და უსაფრთხოების ნორმების გათვალისწინებით, ამ სახის კერძო მოთხოვნები დაკმაყოფილებული იქნება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, რაც მოიცავს მარტოხელა, უნარშეზღუდული ბენეფიციარების დახმარებას.

არსებული რესურსის გათვალისწინებით, ამ ეტაპზე ასევე ვერ ხერხდება ჩიხების გაწმენდა, ვინაიდან რესურსი მთლიანად ხმარდება ცენტრალურ გზებს და 82 სოფელთან მისასვლელი გზების გაწმენდით სამუშაოებს.

მუნიციპალიტეტი მადლობას უხდის ა(ა)იპ "ხაშურსერვისის" თითოეულ თანამშრომელს მათ მიერ გაწეული საქმიანობისთვის.

მუნიციპალიტეტის მერია

(ვრცლად მასალა სტიქიის შესახებ იხილეთ II გვერდზე)

სტიქია გვიტევს, სტიქიას ვებრძვით

ბოლო წლებია, ჩვენს მუნიციპალიტეტში, განსაკუთრებით კი ხანდაზმული ადამიანები, მუდამ ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ კლიმატური ცვლილება მკვეთრად შეეხო ხაშურს. ამის დასტურად უამრავი მაგალითი მოჰყავთ და უნდა აღინიშნოს, რომ არცერთია საფუძველს მოკლებული. თუნდაც ის ფაქტი რად ღირს, რომ თითქმის ოცი წელია, ხაშურს „ხაშურული“ თოვლი აღარ უნახავს. წლებია ამინდის შესახებ მცირე ჩანაწერებს ვაწარმოებ. ამ დღეებში ჩემს „მემუარებს“ გადავხედე და ბოლო დიდთოვლობა 2006-2007 წლებში ფიქსირდებოდა, მანამდე კი - 1985 და 1993 წლებში აქ დიდთოვლობაზეა საუბარი, თორემ 30-40 სანტიმეტრის სიმაღლის თოვლით აბა, რომელ ხაშურელს გააკვირვებ? თურმე სად ვართ! ზოგადად, თებერვალი, როგორც წესი, ყველაზე ნალექიანი თვეა ჩვენი მუნიციპალიტეტისათვის. ასე იყო წლების უკან და აგერ, გვიბრუნდება, მგონი, ის ძველი წლები. ამ დალოცვილმა ამინდმა, 21 თებერვალს რომ მოიღრუბლა, აღარც გაუხსნია პირი და მუჭისხელა ფიფქები გვაყარა მთელი კვირა. მაღალმთიან სოფლებში თუ სურამის შემოგარენში ერთმეტრიან ზღვარს გასცდა თოვლის საფარი. 27 თებერვალს, შუადღის შემდეგ, როგორც იქნა, მზე გამოჩნდა, თორემ ერთი დღეც რომ გაგრძელებულიყო თოვა, უმძიმესი შედეგები შეიძლება დამდგარიყო.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია, მერიის ყველა სამსახური მობილიზებული შეხვდა სტიქიას. ყველა თითქმის ოცდაოთხსაათიან რეჟიმში ჩაერთო სამუშაოებში, რამაც, საბოლოო ჯამში, შედეგიც გამოიღო. რაც მთავარია, ადამიანური ფატალური შედეგი აცილებულ იქნა. ათერთეულამდე მძიმე ტექნიკა პირველი დღეებიდანვე გაგზავნა კრიტიკულ სიტუაციაში მყოფი სოფლებისაკენ. „ხაშურსერვისის“ ყველა თანამშრომელი ჩაება სტიქიის წინააღმდეგ ბრძოლაში. მისასალმებელია, რომ კერძო კომპანიებიც აქტიურად დაუდგნენ გვერდში მოსახლეობას და ტექნიკითა და ადამიანური რესურსით უწევდნენ დახმარებას. უპირველეს ყოვლისა, ტექნიკა მუნიციპალიტეტის ე.წ. შორეული სოფლებისაკენ გაიგზავნა. გაიწმინდა ჩორჩანას, ბეკმის, წაღვლის, ბროლოსნის, ცოცხნარის, ცივწყაროს მისასვლელი გზები. საბედნიეროდ, მართლაც იყოჩაღეს გაზისა და ელექტროენერგიის კომპანიებმა და, ფაქტობრივად, ორივე რეგულარულად მიეწოდებოდა მოსახლეობას. მომდევნო დღეებში მძიმე ტექნიკა თითქმის ყველა სოფელში შევიდა. ტექნიკური მარილი იყრებოდა ქალაქის და სურამის ცენტრალურ ქუჩებში. შიდა ქართლის გუბერნატორი ლევან ხარაბაძე ადგილზე ეცნობოდა სიტუაციას და მუნიციპალიტეტის მერთან, თენგიზ ჩიტიაშვილთან და საგანგებოდ შექმნილი შტაბის წევრებთან ერთად, ყველა კრიტიკულ სიტუაციას აგვარებდნენ. 28 თებერვლიდან, როგორც იქნა, თოვა შეწყდა, თუმცა სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოები არ შეწყვეტილა და დღემდე გრძელდება. ამინდის უახლოესი პროგნოზით, ასეთი ინტენსიურ თოვა აღარ გაგრძელდება, თუმცა მარტის პირველი დეკადა ძლიერი ყინვებით აღინიშნება და შესაძლოა -15 გრადუსამდეც დაეცეს ტემპერატურა. იმედია, ამასაც იოლად გაუმკლავდება ჩვენი მუნიციპალიტეტი, რადგან მერიაში მიღებული პრევენციული ზომები, ამის თქმის საფუძველს იძლევა.

გ. გოგოლაძე

ა ნ გ ა რ ი შ ი

ა(ა)ი.პ „ხაშურსერვისის“ ანგარიში 2024 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 18 დეკემბრის N 28 დადგენილებით, ხაშურის მუნიციპალიტეტის დასახლებებში ქალაქისა და სოფლის ზონების დასუფთავებისა და სანიტარული ღონისძიებების, საგზაო ინფრასტრუქტურის, გარე განათების მოვლა-პატრონობის და სასაფლაოს მოწყობისა და მოვლის-პატრონობის ღონისძიებების პროგრამის განხორციელებისათვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან 2024 წლისათვის გამოყო 2 052 818 ლარის სუფსიდია.(დაფინანსება).

2024 წლის ივლისის თვეში, მუნიციპალიტეტმა გადმოგვცა სამი ერთეული ახალი ტაქნიკა (ორი - ნაგავმზიდი ავტომანქანა და ერთი - ექსკავატორ დამტვირთი) ,რომელთა ექსპლუატაციისათვის საჭირო შეიქმნა დაფინანსების გაზრდა, (მძღოლების,მუშებისა და ავტომანქანების ტექნიკური მომსახურებისათვის) . დამატებული იქნა 104670 ლარი. რის შემდგომ მთლიანმა დაფინანსებამ შეადგინა 2 157 488 ლარმა.

		ხელფასი	საქონელი და მომსახურება	სულ დაფინანსება
1	დასუფთავება და სანიტარული ღონისძიებები	839240	464071	1303311
2	ხაშურის მუნიციპალიტეტის გარე განათება	102061	233107	335168
3	ხაშურის მუნიციპალიტეტის შიდა გზების მოვლა-პატრონობა	178378	168238	346616
4	სასაფლაოს მოვლა-პატრონობი	38043	29680	67723
	ჯამი	1 157 722	895 095	2 052 818

ა(ა)ი.პ „ხაშურსერვისს“ 2024 წლის დანახარჯთა გეგმით გათვალისწინებული იყო 2 157 488,43 ლარის ხარჯი. . ფაქტიურად გახარჯული იქნა ადგილობრივი ბიუჯეტიდან 2 053 815, 37 ლარი, ხოლო საკუთარი შემოსავლებიდან შემოსავალმა შეადგინა 134610 ლარმა, ხოლო ხარჯმა 95916,1 ლარმა.

		ხელფასი	საქონელი და მომსახურება	სულ დაფინანსება
1	დასუფთავება და სანიტარული ღონისძიებები	872010,47	501641,48	1373651,95
2	ხაშურის მუნიციპალიტეტის გარე განათება	102061	244261,71	346322,71
3	ხაშურის მუნიციპალიტეტის შიდა გზების მოვლა-პატრონობა	167370,32	201196,19	368566,51
4	სასაფლაოს მოვლა-პატრონობი	38043	30864,26	68907,26
	ჯამი	1179484,8	977963,64	2 157 488,43

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული პროგრამით გათვალისწინებული საქმიანობისათვის ჩატარებული იქნა 14 კონსოლიდირებული ტენდერი თანხით - 420 656,86 ლარის, 11 ელექტრონული ტენდერი თანხით 313 663 ლარის, გამარტივებული წესით 48 მომწოდებლიდან შეძენილი იქნა 150919,37 ლარის საქონელი და მომსახურება.

2024 წელს შეძენილი იქნა 157667 ლიტრი დიზელის საწვავი, თანხით 417885,8 ლარის, ბენზინი 9340 ლიტრი, თანხით -24065,16 ლარი, საავტომობილო გაზი შეძენილი იქნა 90959 კბმ, თანხით 131890,82 ლარის, საავტომობილო ზეთი 4855 ლიტრი, 35430 ლარის, ასევე, შეძენილი იქნა 75549 ლარის ელექტრო საქონელი და 53665,30 ლარის სათადარიგო ნაწილები. ხელფასის, პრემიისა და დანამატის სახით ადგილობრივი ბიუჯეტიდან გაიცა გაცემული იქნა 1251032,40 ლარი, საკუთარი შემოსავლებიდან, გარე განათების მუშებზე და მესაფლავეებზე გაცემული იქნა- 9070,35 ლარი.

ხაშურის მუნიციპალიტეტის დასახლებებში ქალაქისა და სოფლის ზონების დასუფთავებისა და სანიტარული ღონისძიებების პროგრამის განხორციელებისათვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი იქნა 1 373651,95ლარი, საიდანც ხელფასის ფონდი შეადგენს 872010,47 ლარს, ხოლო საქონელი და მომსახურების მუხლი განისაზღვრა 501641,48 ლარით. დასუფთავების პროგრამის შესრულებაზე დასაქმებულია 128 თანამშრომელი. ერთი მენეჯერი, 5 სპეციალისტი, 4 მუშა-ბრიგადირი, 38 მეეზოვე, 32 მუშა, 22 დასუფთავების ქვითრების დამრიგებელი, 6 დამლაგებელი, 13 მძღოლი. დასუფთავების პროგრამის შესასრულებლად მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულია 1100 ლიტრიანი 934 ცალი ნაგვის კონტეინერი (298 ცალი პლასტმასი, 636 ცალი რკინის) , მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ყველა დასახლებულ პუნქტზე სანაგვე კონტეინერების სრულად განთავსებისათვის საჭიროა შეძენილი იქნას სულ მცირე 1000 ცალი სანაგვე კონტეინერი. საყოფაცხოვრებო ნარჩენების ტრანსპორტირებაზე გამოიყენება ექვსი ერთეული ნაგავშემკრები სპეცტექნიკა და ხუთი სატვირთო ავტომანქანა. ყოველდღიურად ქ.ხაშურში იგვება 48100 მ 2 , ხოლო დაბა სურამში 15500 მ 2 ფართი. თვეში ერთხელ ვახორციელებთ ქ.ხაშურში და დაბა სურამში საავტომობილო მაგისტრალის მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავება -გაწმენდას 638000 მ 2- ზე. 2024 წელს ნაგავსაყრელზე გატანილი იქნა 85049 კბმ საყოფაცხივრებო ნარჩენები. 2024 წელის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დასუფთავების პროგრამის შესასრულებლად მიღებული იქნა 1 315 456,57 ლარი . საკუთარი შემოსავლებიდან მიღებული იქნა 127145 ლარი ლარი.

ხაშურის მუნიციპალიტეტის დასახლებებში გარე განათების სისტემის მოვლა- შენახვასა და რეაბილიტაციაზე ადგილობრივი ბიუჯეტიდან, 2024 წლის პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოებისათვის ,გამოყოფილი იყო 346322 ლარი.საიდანაც ხელფასის ფონდი შეადგენს 102061 ლარს,ხოლო საქონელი და მომსახურების მუხლი განისაზღვრა 244261,71 ლარით. გარე განათების ელექტრო ხაზების სიგრძეა 405325 მეტრი. ელექტრო სადენების ბოძები განლაგებულია ყოველ 35 მეტრში და სულ აღირიცხება 11581 ელექტრო საყრდენი ბოძი და ამდენივე სანათი. 11581 ელექტრო საყრდენი ბოძიდან 10933 ბოძი არის ელქსელების საკუთრებაში , ხოლო 648 ბოძი მუნიციპალიტეტის საკუთრებაა. გარე განათების 11581 სანათიდან 3500 არის დიოდური სანათი, ხოლო დანარჩენი 8081 სანათი არის ჩვეულებრივი დიოდური ნათურა. გარე განათების სისტემის მოვლა-შენახვასა და რეაბილიტაციაზე დასაქმებულია რვა თანამშრომელი: ერთი მენეჯერი. ერთი ბრიგადირი, ოთხი ელექტრიკოსი, ორი მძღოლი , რომლებიც ემსახურებიან ორ სპეცავტომანქანას (ამწეკალათს).

2024 წელს გარე განათების მოვლა-პატრონობისათვის საჭირო მასალების შესაძენად ჩატარდა სამი ელექტრონული ტენდერი თანხით 75549 ლარი. შეძენილი იქნა სხვადასხვა ამპერისა და ტიპის ნათურა და სხვადასხა სახის ელექტრო საქონელი, რომლებიც გამოყენებული იქნა მუნიციპალიტეტის დასახლებებაში არსებული გარე განათების სისტემის მოვლა-შენახვის სამუშაოების შესასრულებლად. 2024 წელს გარე განათების მოვლა შენახვასა და რეაბილიტაციაზე ადგილობრივი ბიუჯეტიდან გაიხარჯა 312945,54 ლარი, ხოლო საკუთარი შემოსავლებიდან გახარჯული იქნა 31218,8 ლარი. გარე განათების მოვლა - შენახვაზე გახარჯული იქნა შემდეგი ელექტრო საქონელი: ნათურა დიოდური 23 ვატიანი-6067 ცალი, ნათურა დიოდური 35 ვატიანი - 551 ცალი, სანათი დიოდური 40ვატიანი -259 ცალი, პროჟექტორი დიოდური 50ამპერიანი- 37 ცალი. პროჟექტორი 100 ვტ-ნი -8 ცალი, პროჟექტორი 30ვტ-იანი 80ცალი, პროჟექტორი 50ვტ-იანი - 1 ცალი, პროჟექტორი 10ვტ-იანი - 2 ცალი. ლედ ქუჩის სანათი 30 ვტ-იანი - 300 ცალი, სადენი ალუმინის 2*16 მმ2- 3385 მეტრი, სადენი ალუმინის 2*2,5 მმ2 – 190 მეტრი.

ხაშურის მუნიციპალიტეტის შიდა გზების მოვლა-პატრონობაზე 2024 წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი იქნა 368566,51ლარი, შიდა გზების მოვლა -პატრონობაზე დასაქმებულია ექვსი თანამშრომელი: ერთი მენეჯერი, ერთი გზის ინჟინერი, ოთხი მექანიზატორი, სამი ერთეული საგზაო ტექნიკა: გზის გრეიდერი, ექსკავატორ-დამტვირთი და მუხლუხიანი ტრაქტორი. ტენდერზე შეძენილი იქნა 1500 კბმ ღორღი, რომელიც გამოყენებული იქნა მუნიციპალიტეტის შიდა გზების შეკეთებაზე. 285 კილომეტრი სიგრძის შიდა გზების მოსწორება-დახრეშვა-დაშებელების სამუშაოებზე გახარჯული იქნა 1500 კბმ ქვიშა-ღორღი და ქველმოქმედების სახით მიღებული 2000 კბმ ხრეში. 2024 წელს შიდა გზების მოვლა-პატრონობისათვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან მიღებული იქნა 327550365418,23 ლარი, ხოლო საკუთარი შემოსავლებიდან გახარჯული იქნა 24808,7 ლარი.

მუნიციპალიტეტის დასახლებაში სასაფლაოების მოწყობისა და მოვლის ღონისძიებებზე, 2024 წლისათვის, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გამოყო 68907,26 ლარი. (ხელფასისათვის - 38043 ლარი, საქონელი და მომსახურებისათვის - 30864,26 ლარი) 2024 წელს შემოსული იქნა 71 განცხადება საფლავის ადგილის გამოყოფაზე, ყველა განცხადება დაკმაყოფილებული იქნა. ადგილობრივი ბიუჯეტიდან გახარჯული იქნა 59974,63 ლარი. ხოლო საკუთარი შემოსავლებიდან მიღებულმა თანხამ შეადგინა 7465 ლარმა.

ზ. ნოზაძე , ა(ა)ი.პ „ხაშურსერვისის“

დირექტორი

ტოპონიმებში გაცოცხლებული ისტორიები

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“ 2023წ.#42, #43 2024წ.#2,#3, #4,5,6,7,8,9,10,11,12,15,15,17,18. #36,37,38,39,40,41,42,46,47. „ხმ“ 2025წ, #1,2,3,4,5).

ივანე და მიხეილ ციმანკურიძეების მიწა - ადგ; იხ. მელიაური.
კაკლები - ადგ., სათესი. ქალიაშვილებს შორის 1938 წლის 24 აგვისტოს გაყრის განაჩენით ,,უფროს ძმას ალექსანდრე ქალიაშვილს საბაღეთ ერგო კაკლებში რომ შემოღობილია” .

კოლას ახო - ადგ., საძოვარი დასავლეთის მხარეს. ,,კოლა გელაშვილი იყო“.
კოშკის უბანი - უბანი სოფლის ცენტრში. ,,აქ კოშკი დგას”.

ლავაშას ახო - ადგ., საძოვარი დასავლეთის მხარეს. ,,ლავაშა ზედმეტი სახელია, გოგიტაშვილი იყო”.

ლაშეები - ადგ., საძოვარი ჩრდილო-დასავლეთის მხარეს მთაწმინდის ძირში. ,,მლაშე წყლებია”, ,,მლაშე წყლები გამოდის”.

ლაცაბიძეების უბანი - უბანი ჩრდილო-დასავლეთის მხარეს. ,,კოშკის უბანში შედის”, ,,ეკუთვნის კოშკის უბანს”.

ლაცაბიძეების წყარო - წყარო ლაცაბიძეების უბანში. ,,ლაცაბიძეებს ეკუთვნოდა”. ლევანის ყორე - ადგილი სამხრეთის მხარეს. მტკვრის პირზე გაკეთებული დამცავი ზოლი ლევან ყიფიანმა და მისმა შვილებმა გააკეთეს, მტკვარი რომ ადიდებულიყო და არ გადმოსულიყო. 1968 წელს დაინგრა შესანიშნავი ბაღი ჰქონდა ქვიშხეთის ძველი სკოლის ტერიტორიაზე. ლევან ყიფიანი აგრონომი იყო.

ლეკის ბილიკი - იგივე რაც ლეკის გზა.

ლეკის გზა - გზა დასავლეთის მხარეს. გზა ციხისძირის ციხიდან (ბულბულისციხე) მიემართება კორღანოსა და მთაწმინდის მთებით ბორჯომისაკენ. ამ გზითლეკებს გადაჰყავდათ ტყვეები და მიჰქონდათ საქონელი ბორჯომის ხეობაში ახალციხეშიგასაყიდლად. ახალციხე ამ პერიოში (XVIII საუკუნე და XIX საუკუნის დასაწყისი) ტყვეთა სყიდვის უმნიშვნელოვანესი კერა იყო. იგივე რაც ,,აბაშიძეების გზა“.

ლიხი - ადგილი, რკინიგზის სადგური, მდებარეობს ლიხის ქედის აღმოსავლეთ კალთაზე, ქვიშხეთთან, მის ჩრდილოეთით. სურამის გვირაბის გაყვანის /1886-1890წწ/ დროს აქ ააგეს პატარა სადგური, რომელსაც ვარვარინო დაარქვეს. 1921 წლის შემდეგ ეწოდება ლიხი.

ლიხის უბანი - უბანი. როგორც ირკვევა ცნობილი იყო როგორც სოფელიც. ალექსი დას ერგო, სოლო, ვალოდია, სიმონ და გიორგი გურგენძეებს შორის 1930 წლის 20 მარტის გაყრის განაცენში აღნიშნულია: ,,...ჩვენ ქვემორენი ამისა ხელის მამწერელნი ქვიშხეთის თემის სოფელ ლიხის უბანში მცოვრებლებ...” /ხრა, ფ.17, აღწ. I, საქმე 12, ფურც.2/. იპოლიტე, ვასილ და სიმონ ღონღაძეების 1929 წლის 5 ოქტომბრის გაყრის განაჩენში აღნიშნულია: ,,... ქვემორე ამისი ხელის მომწერლები მცხოვრებელი სოფელს ლიხშიდ” .

ლიხის ქედი - ქედი დასავლეთ მხარეს. იგივეა რაც სურამის ქედი.

ლიხის ფერდა - ადგ., სათესი ჩრდილოეთის მხარეს.

მაჭარაშვილების ღელე - ღელე, მოედინება ტაშისკარიდან. იგივეა რაც ლომსაძეების ღელე.

მელიაური - ადგ; 1853 წლის 5 მარტს დავით სუმბათოვი ხელმეორედ აძლევს მას სვიმონ სუთიაშვილს: ,,ესე ნასყიდობის წერილი დაგიწერე და მოგეცით მე, ქვემორე ამისა ხელისა მომწერელმან, გორის უეზდისა, სურამის უჩასტკისა, სოფელსა ქვიშხეთის მებატონეთ თავადმა დავით ალექსანდრეს ძემ ზუმბათოვმა თქვენ, ამავე ქვიშხეთში მცხოვრებელთ, საბატონო გლეხთ, ქაიხოსრო ავალოვის ყმათ, სვიმონა, გიორგი, სოსია და გაბრიელა სუთიაშვილებსა. ესრეთ რომელ მოესყიდნა თქვენთვის თავადი აბაშიძის ასულს, კნეინა ეკატერინა მუხრანოვისასა ჩყნა (1851), რიცხვსა ამა თებერვალსა იგ(13) დღესა ქვიშხეთში მდებარე სახნავი დღენახევრისა მიწა, სახელდობრ მელიაური სამძღვრებთ ამისი აღმოსავლეთით ზალიკა ყიფიანის მიწა, დასავლეთით ივანე და მიხეილ აზნაურთ ციმანკურიძეებისა მიწა, ჩრდილოეთით ისევ ჩემის მიწის მიდგმამდინ, რომელიც არის მოსყიდული მიწის ნახევარი. სამხრეთით ისევ თქვენ სუთიაშვილების მიწა და ამ ხსენებული დღენახევარი მიწის ფასათ მიეღოთ ზემოთ ხსენებულს მამსყიდველთ თქვენგან სრულებით ხუთი თუმანი თეთრი ფული და დაშთენილიყო თქვენ სუთიაშვილების ფლობაში აქნობამდე და ამ ზემოთ ხსენებულს მიწაზედ მოვიდა აპეკიდმან თქვენზედ აღკრძალვისა ქაღალდი და შემდგომ ისევ გაგირიგდით და მოგყიდე მოწმიერებითა ჩემის კეთილის ნებითა, ესე იგი ხსენებული მელიაურის მიწა და ახლათ მივიღ კიდევ თქვენგანა ოთხი თუმანი თეთრი ფული, რომელიცა შეადგენს სრულებითა თქვენგან მოცემული ძველათ და ახლათ ცხრა თუმანს თეთრს ფულსა და ესე იგი მიწა უნდა დაშთეს საკუთარს თქვენს ფლობელობაში, რომელ ამიერიდგან მე დავა არავითარი აღარა მექნებარა თქვენთანა, არც მე და არცა ძმებთა ჩემთა და არცა სხუათა ვისმე...“.

მთაწმინდა - ადგ., მთა დასავლეთის მხარეს. აქ არის ეკლესია. ,,ეს მთა, ფიქრობენ იფარავს ქვიშხეთის დიდი წვიმებისაგან და სეტყვისაგან. აქ წმინდა გიორგის ეკლესიაა”.
მთაწმინდის კალთა - ადგილი დასავლეთის მხარეს.
მთაწმინდის სერი - ადგილი დასავლეთის მხარეს. ,,მთაწმინდის კალთის ძირია”.

მთაწმინდის წმინდა გიორგის ეკლესია - სალოცავი.

მიხეილის წყარო - წყარო დასავლეთის მხარეს. ,,მთაწმინდაზე მიმავალი ღამისთეველები ხმარობენ ამ წყაროს. მთაწმინდის დასავლეთით ჩაკეცილასთან ახლოსაა, მარჯვნივ”.

მუხები - ადგ., სალოცავი, სათესი.
მჭედლიშვილების უბანი - უბანი ჩრდილოეთის მხარეს. ,,ცალკე სოფელი იყო, მჭედლიშვილები ცხოვროვდნენ”.
ნაფუზრის მიწა - ადგ., სახნავი. მჭედლიშვილებს შორის 1939 წლის 11 მარტის გაყრის განაჩენით ძმებმა სერგო, შოთა, ირაკლი, ევგენი სიმონის ძე მჭედლიშილებმა მიიღეს ცალ-ცალკე მეოთხედი ნაწილი მიწისა..

ნაფუძრები- ადგ., სახნავი ჩრდილოეთის მხარეს. ,,ეხლა სათიბები განაფუძრებული ნიადაგი იყო. ღონღაძეების უბანს ეკუთვნოდა”.
ნახვეტარა//ნახვეტრები - ადგ., სათესი, სახნავი სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარეს, იქ სადაც შოლა უერთდება მდ. მტკვარს. ,,მტკვრის მარცხენა სანაპიროზეა. ცხრამუხის ზემოთაა. ქარი რომ ამოვარდებოდა, სულ მიწას აიღებდა ხოლმე, ახვეტავდა ხოლმე”.

ნესტორის ბაღი - ადგილი ჩრდილოეთის მხარეს. ,,ხილის ბაღი იყო”, ,,ნესტორი მგონი ღონღაძე იყო”.

ნინიკა გიგიტაშვილის მიწა - ადგ; იხ. ნახვეტარა.

ოსინეების უბანი - ადგ; უბანი ჩრდილოეთ მხარეს. ,,კოშკის უბანში შედის, შატბერაშვილები არიან“.
პავლაძის კარების მიწა - ადგ., სათესი. ჯიბო ქურდაძესა დამ ის შვილებს შორის 1929 წლის 10 ნოემბრის გაყრის განაჩენით, მამას და მის მცირეწლოვან შვილებს შალიკოს, მიხას, პავლეს და ვანოს ერგოთ მიწის ეს ნაკვეთი .

პანტნარი - ადგ., საძოვარი დასავლეთის მხარეს. ,,მეტი წილი პანტაა”.

პატარა შოლა - მდინარე, მოედინება ბულბულისციხიდან დიდი შოლის პარალელურად. ,,ვახტანგ VI-ის არის ნაშთია”, ,,შოლის პირიდამ გაიტანა ჟ.დ. მეფემან ვახტანგ რუი, რამეთუ იყო მინდორი ესე უწყლო, და ჰყო წისქვილნი, და სმენ პირუტყუენი”.

რუსის შარა - ადგილი; იხ. შოლის პირი

სააბაშო – ადგილი, ტერიტორია, სათავადო გვიანდელ ზემო ქართლში. მდებარეოდა ისტორიულ შიდა ქართლის დასავლეთით, მდ. შოლას აუზში. შედიოდა შემდეგი სოფლები: ტეზერი, გუდეთი, ბეღლითი, მონასტერი, ციხისძირი /ბულბულისციხე/, შოლისპირი, ტაშისკარი, გოგალეთი, ზვარი, ჩრდილი, ნუნისი, მებოძირი, ვახანი. მათვე ეკუთვნოდა ზემო ჭალა, ცხრამუხა, ყიფიანთუბანი, სავანის უბანი, რუსაანთუბანი.

საბუდრები - ადგ., მთა, ტყე ჩრდილო-დასავლეთის მხარეს.

სამქვა - ადგ; იგივეა რაც თავკოკოლა.

სამთხის კლდე - ადგ., კლდე ჩრდილო-დასავლეთის მხარეს. ,,ვითომ სამი თხა იყო, გარეული თხები”, ,,სამი თხა გადმოდგებოდა თურმე”

სართუმელა მიწა - ადგ., სახნავი. პავლაძეებს შორის 1926 წლის 24 ოქტომბრის გაყრის განაჩენით ლექსო პავლაძეს ერგო ნახევრი, მეორე ნახევარი კი ვასილ პავლაძეს .

საჯვარის სერი - ადგ., სერი დასავლეთის მხარეს. ,,საზღვარია ქვიშხეთსა და ხარაგაულის რაიონს შორის”.

სუთიაშვილის//სუთიაშვილების მიწა - ადგ; იხ. მელიაური, შოლის პირი. ტყემლის მიწა - ადგ., სათესი, დაფიქსირებულია გიო გიორგის ძე ფილიმონ, სოგრატა, ნუცა და ნატო გიგიტაშვილებს შორის 1929 წლის 6 ნოემბრის გაყრის განაჩენში .

ფასიტაშვილის მამული - ადგ; სახნავი, სათესი. დაფიქსირებულია 1770 წლის 2 აპრილს სარიდან ავალიშვილის მიერ ნიკოლოზ აბაშიძისათვის მიცემულ მიწის ნასყიდობის საბუთში: ,,...ესე ნასყიდობის წიგნი და სიგელი დაგიწერეთ და მოგეცით და მო[გ]ყიდნეთ ჩვენ, ავალიშვილმა სარიდან და ძმამა ჩემა ფარსადან, თქვენ, აბაშიძე ნიკოლოზს და შვილსა თქვენსა სვიმონსა და გიორგის და იოვანეს და სახლისა თქვენისასა მამავალსა. ასე, რომ დაგვჭირდა და მოგყიდნეთ ქვიშხეთს ჩვენი სამკვიდრო მამული ფასიტაშვილის მამული’’.

ფერდები - ადგ., სათესი

ფერიცვალა - ადგილი ჩრდილოეთის მხარეს. აქვეა სალოცავი – ფერიცვალების ეკლესია. ,,მზიანი ადგილია და ალბათ შემოდგომაზე ყველაზე ადრე იცვლის ფერს”.

ფერიცვალების წყარო - წყარო ჩრდილოეთის მხარეს.
ქაიხსრო ავალიშვილის მიწა - ადგ; იხ. ნახვეტარა.
ქვაკოკოლიას საძოვარი - ადგ., საძოვარი დასავლეთის მხარეს.
ქვედააყალოები - ადგილი დასავლეთის მხარეს მთაწმინდის ძირში.

ქვედამიწები - ადგილი.

ქვიშხეთის მინდორი - ადგილი, მინდორი. ,,...მეფემან დავით, მოუწოდა სპათა თვისთაა, წარმოემართა და თანა წარმოიყვანა ძე მისი ვახტანგ, გადმოვიდეს და დადგეს ტაშისკარს, ქვიშხეთის მინდორსა” .

ქვიშხეთის ციხე - ციხე სოფლის ცენტრში

ქურდაძეების მიწა - ადგ., სახნავი. ლექსო და ვასილ ნიკოლოზის ძე პავლაძეების 1926 წლის 24 ოქტომბრის გაყრის განაჩენით ,,...ლექსოს ერგო ქურდაძეების მიწისაგან ნახევარი..” ახოს მიწა.

ღონღაძეები - უბანი ჩრდილოეთის მხარეს.

ყაზიშვილების წყარო - წყარო სოფლის ცენტრში. ,,ყაზიშვილები ცხოვრობენ აქ”. ყორღანი - ადგ., გორაკი დასავლეთის მხარეს. ,,მთაწმინდის დასავლეთის მხარესაა, ჩაკეცილასა და მთაწმინდას შორის არის, ამაღლებული ადგილია”.
შოლა - იგივეა რაც დიდი შოლა.

შოლის პირი - ადგილი; ძველი ნასოფლარი. სახელწოდება იმაზე მიგვანიშნებს, რომ იგი მდინარე შოლის სანაპიროზე იყო. მდებარეობს ქვიშხეთთან ახლოს.

შუა ჭალის მიწა - ადგ., სახნავი. ლექსო და ვასილ პავლაძეებს შორის 1919 წლის 24 ოქტომბრის გაყრის განაჩენით ,,შუა ჭალის მიწა ლექსოს ერგო მთლად” .

ჩიტაძეები - უბანი ჩრდილო-ამოსავლეთის მხარეს. 1715 წლის რუისის სამწყოს დავთრის მიხედვით ქვიშხეთში სამი კომლი ჩიტაძე ცხოვრობდა.

ჩრდილის გზა - ადგ., გზა ჩრდილოეთის მხარეს.

ჩუმახევი - ადგ., მთა, ტყე.

ჩუმახევის წყალი - ღელე ქვიშხეთში, უერთდება შოლას ბულბულისციხესთან.
ცივწყაროები - ადგილი დასავლეთის მხარეს. ,,წყროები გამოდის, ლაშებშია”.
ცუცქირიძეების წყრო - წყარო ჩრდილო-დასავლეთის მხარეს. აქ ცუცქირიძეები ცხოვრობდნენ. ,,1934 წელს რომ გამოიყვანეს წყალი, ცუცქირიძეებთან დაიდგა და არის ეხლაც ის წყალი”.
ცხრაძმაღელე - ღელე დასავლეთის მხარეს. ,,ცხრა ხე იყო”.
წმინდა გიორგის ეკლესია - სალოცავი დასავლეთის მხარეს მთწმინდაზე.
წმინდა ელიას ეკლესია - სალოცავი დასავლეთის მხარეს ლაცაბიძეების უბანში

წმინდა მარინეს ეკლესია(1) - სალოცავი ჩრდილო-დასავლეთის მხარეს ლაცაბიძეების უბანში

წმინდა მარინეს ეკლესია (2) - სალოცავი ჩრდილო-დასავლეთის მხარეს ჭალის უბანში.

წყაროს ღელე - ღელე. კოლა და ალექსი გიგიტაშვილების 1939 წლის 2 თებერვლის გაყრის განაჩენში ლექსო გიგიტაშვილის ბაღის ჩრდილოეთის მხარის საზღვარი. .

ჭალის მიწა- ადგ., სათესი. ჯიბო ქურდაძესა და მის შვილებს შორის 1929 წლის 10 თებერვლის გაყრის განაჩენით გიორგი ქურდაძეს ერგო ჭალის მწიდან ერთი მეექვსედი.

ხაჩიძეებს შორის 1931 წლის 19 იანვრის გაყრის განაჩენით ჭალის მიწებიდან სიმონ ხაჩიძეს შეხვდა ერთი დღიური შემდეგ საზღვრებში: ,,აღმოსავლეთით ფოშტის გზა, დასალეთით რკინიგზა, ჩრდილოეთით ილიკო ხაჩიძე და სმხრეთით სასოფლო გზა”.

ჭალის უბანი - უბანი ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარეს. ,,ჭალა იყო ალბათ ადრე, მერე გაჩეხეს და დასახლდნენ”.

თამაზ ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

ასე აღნიშნავენ დედის დღეს ჩვენს პლანეტაზე

ბევრმა შეიძლება არ იცოდეს, თუ საიდან იწყება დედის დღის ტრადიცია. შეიძლება გაგიკვირდეს კიდეც, მაგრამ ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში, ძველმა ბერძნებმა დღესასწაული ზევსის დედის პატივსაცემად მოაწყვეს. აქ ქალღმერთისთვის ყვავილები, საქონელი და თაფლაკვერი მიჰქონდათ. ტრადიცია საბერძნეთის იმპერიის დაცემასთან ერთად დასრულდა, თუმცა შუა საუკუნეებში ზოგიერთ ქვეყანაში აღადგინეს.

დღევანდელი სახით თანამედროვე დღესასწაული ქალთა მოძრაობის პირველ ტალღას, ამერიკის შეერთებულ შტატებში უკავშირდება. იგი პირველად 1910 წელს ვირჯინიის შტატში აღინიშნა, ხოლო 1914 წელს ოფიციალურ დღესასწაულად გამოცხადდა და მის ფუძემდებლად ანა ჯარვისი ითვლება. მას შემდეგ ამერიკაში დედის დღე ყოველწლიურად, როგორც ერთ-ერთი ყველაზე დიდი დღესასწაული, ყვავილების, ღია ბარათების ჩუქებით, ტკბილეულითა და სატელეფონო ზარებით, აღინიშნება.

დედის დღე სხვადასხვა ქვეყნებში

დედის დღე მთელ მსოფლიოში სხვადასხვა დროს აღინიშნება, უმეტესად, მაისის მეორე კვირა დღეს. თითოეულს თავისი კულტურული, განსხვავებული მნიშვნელობა აქვს. თუმცა, ყველა ერთ მიზანს ემსახურება. გაერთიანებულ სამეფოში დედის დღის ტრადიცია საეკლესიო დღესასწაულად დაიწყო და შუა საუკუნეებში, 1500-იან წლებში, აღინიშნებოდა როგორც ,,დედათა კვირა''. ამ დროს, დიდმარხვის მეოთხე კვირას ადამიანები ეკლესიაში მიდიოდნენ და ამ დღეს ოჯახთან ერთად ატარებდნენ. მას შემდეგ, დღესასწაული ნაკლებად რელიგიური გახდა და აღინიშნება ყვავილებით, საჩუქრებით ან ბრანჩით.

ფრანგული დედის დღე, რომელიც ასევე ცნობილია როგორც Fête des Mères, მოდის ქალთა თანასწორობის ისტორიული დღესასწაულიდან. 1920 წელს საფრანგეთის მთავრობამ გამოაცხადა ეროვნული დღესასწაული დედებისა და ქალთა თანასწორობის აღსანიშნავად. Fête des Mères აღინიშნება მაისის ბოლო კვირას. ტრადიციულად, დღესასწაულები მოიცავს დიდ ტრაპეზს და მცირე საჩუქრებს.

დედები მექსიკურ კულტურაში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან როლს ასრულებენ და Dia de las Madres - ამ ქალების მიერ გაღებულ მსხვერპლსა და უფლებებს ასახავს. ტრადიციულად, ბავშვები 10 მაისს დედის გასაღვიძებლად ადრე დგებიან, მუსიკალურ პერფორმანსს ასრულებენ. ამ სპექტაკლების შემდეგ კი, ხელნაკეთ Dia de las Madres ბარათებსა და საჩუქრებს, უსახსოვრებენ. იმისთვის კი რომ დედას ვახშმის მომზადება არ მოუწიოს, დღესასწაულს მათთან ერთად რესტორანში აღნიშნავენ.

ამ დღის განსაკუთრებული მნიშვნელობით, არც საქართველოა გამონაკლისი. საქართველოში დედის დღე 1991 წლიდან სხვადასხვა ღონისძიებებით აღინიშნება და არასამუშაო დღეა.

ძველი საბერძნეთი

ქალღმერთი კიბელე წარმოშობით ძველი ფრიგიული ღვთაება, დიდი დედა, მიწიერ არსთა მშობელი, ბუნების ამყვავებელი, განმანაყოფი ერებლი და ამაღორძინებელი. კიბელეს მითი ასეთია: იდუმალებით მოცული ძველი ფრიგიული ქალღმერთი მთის მწვერვალებზე ცხოვრობდა და დააქროლებდა ძვირფას ეტლს, რომელშიაც შებმული ჰყავდა ლომები და ჯიქები. მას შეუყვარდა ჭაბუკი ატისი, ატისმა კი მოკვდავი ქალი ამჯობინა. განრისხებული კიბელე ქორწილში გამოჩნდა და ყველა გააგიჟა. გადარეული ატისი მთაში გაიქცა და თავი მოიკლა. კიბელეს, როგორც დიდიდედის დღესასწაულს მცირეაზიაში გაზაფხულზე აღნიშნავენ.

კიდევ ერთი ძველ ბერძნული ქალღმერთი, რომელსაც ძველი ბერძნები თაყვანისცემის ნიშნად დღესასწაულებს უძღვნიდნენ, რეა იყო. მას ღმერთების დედად მიიჩნევდნენ.

რეას ხშირად მოიხსენიებდნენ როგორც მეტრი თეონი ("ღმერთების დედა") და ძველი საბერძნეთის გარშემო რამდენიმე ტაძარი იყო რეასთვის მიძღვნილი. მას თავდაპირველად თაყვანს სცემდნენ კუნძულ კრეტაზე, რომელიც მითოლოგიაში ზევსის ახალშობილობისა და აღზრდის ადგილად აღიარეს. რეას რიტმულ, მკაცრ გალობას და ცეკვებს უძღვნიდნენ, რომელსაც ტიმპანონის (ფართო, ხელის დრამი) თანხლებით ასრულებდნენ.

ძველი რომაული დედების ფესტივალი "ჰილარია"

ჰილარია ძველ რომაულ რელიგიურ ფესტივალებს ერქვა,რომლებიც მარტის ბუნიობის დროს აღნიშნავდნენ.

რომაელები ჰილარიას ასევე, 25 მარტს ზეიმობდნენ. ცნობილია "დედის ფესტივალზე" შესრულებული თამაშები ღმერთების დედის საპატივცემულოდ. ასევე, იყო საზეიმო მსვლელობა, რომელშიც ატარებდნენ ქალღმერთის ქანდაკებას.

რაც შეეხება თანამედროვე დედის დღეს, რომელსაც არც თუ ისე დიდი ისტორია აქვს, ამერიკაში წარმოიშვა და ამ დღესასწაულმა გამოხმაურება საქართველოშიც ჰპოვა.

საქართველო

დედის დღე 3 მარტია. ის ქვეყნის პირველმა პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ დააწესა. დედის დღეს საქართველოში ქალთა საერთაშორისო დღე – 8 მარტი უნდა ჩაენაცვლებინა, თუმცა ის ცალკე მაინც აღინიშნება. 3 მარტი ოფიციალურად უქმე დღეა. ტრადიციულად შვილები დედებს ყვავილებს, ღია ბარათებს ან სიმბოლურ საჩუქრებს ჩუქნიან.

აშშ

„დედის დღის" სამშობლოდ შეერთებული შტატებია მიჩნეული. ამ დღის აღნიშვნის პირველი მცდელობა 1972 წელს იყო. აქტივისტმა ჯულია უორდსმა გამოთქვა სურვილი, ყოფილიყო ისეთი დღესასწაული, რომელიც გააერთიანებდა ყველა დედას მშვიდობისთვის ბრძოლაში. მან საამისოდ არაერთი აქცია მოაწყო, მაგრამ უსაფუძვლოდ. მხოლოდ მოგვიანებით, 1907 წელს, მოქალაქე ანა ჯავისმა, რომელიც ითვლება ამ დღის ერთ-ერთ ფუძემდებლად, დაიწყო ოფიციალური წერილების მისწერა ჩინოვნიკებისთვის, რომ აუცილებელი იყო დედის დღის დაწესება.

მისი მცდელობები წარმატებით 1910 წელს დასრულდა და ვირჯინიის შტატში ოფიციალურად პირველად აღნიშნეს დედის დღე. ოთხ წელიწადში კი ის უკვე ოფიციალურად მიიღეს და მას მერე დღესასწაულს აღნიშნავენ ყოველი წლის მაისის მეორე კვირა დღეს. დედის დღეს ამერიკაში დიდი ენთუზიაზმით აღნიშნავენ.

ადამიანები განსაკუთრებით აფასებენ და ხაზს უსვამენ მათ ცხოვრებაში დედის აუცილებლობას და მადლობას უხდიან მათ უანგარო, უპირობო სიყვარულისა და მხარდაჭერისთვის. დედის დღე ამერიკაში, შობისა და ვალენტინობის შემდეგ, ყველაზე დიდ დღესასწაულად ითვლება. ამ დროს სატელეფონო ხაზები გადატვირთულია, საბარათე გაყიდვები პიკს აღწევს და რესტორნები სრული დატვირთვით მუშაობენ. დედის დღის ტრადიციები ძირითადად მოიცავს საუზმეს საწოლში, ყვავილების თაიგულს, ღია ბარათებს ან საჩუქარს, და ვახშამზე დაპატიჟებას.

დიდი ბრიტანეთი

დედის დღის ტრადიციას დიდი ისტორია აქვს და ის აღინიშნება მარხვის მეოთხე კვირას, გამომდინარე აქედან, მისი თარიღი მუდმივად ცვალებადია. მას 17-ე საუკუნიდან აღნიშნავენ და დედის კვირეულს უწოდებენ.

ინგლისიც ფაქტიურად ერთ-ერთი პირველი ქვეყანა იყო, რომელმაც გამოყო წელიწადში ერთი დღე დედის დღის აღსანიშნავად. ბრიტანეთში შემორჩენილია ტრადიცია, რომლის მიხედვითაც დედებისთვის ნუშის ნამცვარს ამზადებენ და მას „mothering cake" (დედის ნამცხვარს) უწოდებენ.

იაპონია

იაპონიაში დედის დღის დაწესებას პირველად 1931 წელს შეეცადნენ. მაშინ იყო სურვილი, რომ ეს დღე იმპერატორის იუბილეს დამთხვეოდა. თუმცა, ეს ტრადიცია არ გაგრძელდა.

ახლა იაპონიაში, ისევე როგორც სხვა ქვეყნების დიდ ნაწილში, დედებს

ყვავილებს და ღია ბარათებს ჩუქნიან მაისის თვის პირველკვირა დღეს.

გერმანია

ამ დღესასწაულს გერმანიაში საფუძველი 1923 წელს ჩაეყარა, ხოლო როგორც სახელმწიფო დღესასწაული, აღინიშნება 1933 წლიდან. საფუძველი ფლორისტების გაერთიანებამ ჩაუყარა.

მისი მიზანი იყო პატივი ეცათ პირველი მსოფლიო ომის მონაწილე დედებისთვის. მას შემდეგ წელიწადში ერთხელ, მაისის მეორე კვირას, გერმანელი დედები ე.წ. „Muttertag-ს", დედის დღეს ზეიმობენ.

საფრანგეთი

დედის დღეს საფრანგეთში მაისის ბოლო კვირა დღეს აღნიშნავენ. ტრადიციულად, ამ დღეს ოჯახში ოჯახური სადილი იმართება, ხოლო დედები საჩუქრად ყვავილების თაიგულის ფორმის ნამცხვარს იღებენ.

დედის განსაკუთრებული როლის შესახებ საუბარი და პატივისცემა საფრანგეთში ჯერ კიდევ ნაპოლეონ ბონაპარტეს ეპოქიდან მოდის, ხოლო 1950 წლიდან დედის დღე- La Fete de Meres ოფიციალურად შეიქმნა.

ავტრალია

ავსტრალიაში დედის დღე მაისის მეორე კვირა დღეს აღინიშნება. არსებობს დედის დღის მილოცვის ტრადიცია ყვავილებით. გარდა საკუთარი დედებისა, ბავშვები პატივს სცემენ მათ ბებიებსა და სხვა ქალბატონებსაც, რომლებიც მათ დედებივით უვლიან და ზრუნავენ მათზე.

მიხაკებით (ისევე როგორც აშშ-ში), დედებს დღესასწაულს ფერადი მიხაკებით ულოცავენ, თეთრი მიხაკები კი გარდაცვლილი დედებისთვის პატივის მისაგებად გამოიყენება.

კანადა

სხვა ქვეყნების მსგავსად, კანადაშიც დედის დღის მისალოცად ყველაზე ხშირად ღია ბარათებს, ყვავილებს და საჩუქრებს იყენებენ. იგი, შობისა და ვალენტინობის შემდეგ, სიდიდით მესამე დღესასწაულად მიიჩნევა.

აღინიშნება მაისში ამერიკის და ავსტრალიის მსგავსად და საზოგადოებაში ძალიან დიდ ემოციურ დატვირთვას ატარებს.

ბრაზილია

ყოველწლიურად მაისში აღინიშნება დედათა დღე- Dia das Mães ბრაზილიაში. ამ ქვეყანაში ოჯახების დიდ ნაწილში სამზე მეტი ბავშვია, ამიტომაც მარტივი წარმოსადგენია, როგორ მასშტაბურად და მხიარულად აღნიშნავენ ამ დღეს.

ტრადიციულად ამ დღესასწაულზე ოჯახის წევრები ერთად იკრიბებიან, საგანგებოდ ამ დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები იმართება.

ხელოვნების უმაღლეს რანგში აყვანილი ჭადრაკის დაფები და ამ ხელოვნების შემქმნელი ცხოვრებაშვილების ოჯახი

„ხაშურის მოამბე“ აქტიურად ხვდება და გაცნობთ მეწარმე ინდივიდებს, თუმცა არცთუ ხშირად შევხვედრივართ მეწარმე ოჯახებს. ოჯახებს, რომლებიც ყველა წევრით ჩართულია მეწარმეობაში და თითოეულ მათგანს საკუთარი როლი და წვლილი აქვს ოჯახურ საქმიანობაში. ქალაქში ცხოვრობს ზეზვა ცხოვრებაშვილის ოჯახი, რომლის ხელნაკეთი ჭადრაკის დაფები მთელი საქრთველოსთვის ცნობილია. მათ მიერ დამზადებული ჭადრაკი არაერთ ოჯახში ინახება. პირველად, ფართო საზოგადოებისათვის, ხაშურში, ვგონებ, გასულ წელს, „ ხაშურობის“ დღეზე გამოფინა ნამუშევრები ოჯახმა. მათთან შეხვედრაც რედაქციის მიერ იმ დროისათვის დაიგეგმა, თუმცა, რატომღაც დღემდე

განზრახვა სისრულეში ვერ მოვიყვანეთ. ჭადრაკის დაფების ოსტატ ოჯახს შინ ვესტუმრე. საუბარი სასიამოვნო და ოჯახის უფროსის მიერ დამზადებული ხელნაკეთი ნივთების გარემოცვაში შედგა. კაკლის ხის მასალისაგან ჭადრაკის დაფებს ოჯახის ხელმარჯვე ოსტატი ზეზვა ცხოვრებაშვილი ამზადებს უმცროი ქალიშვილის, ხაშურის მეექვსე საჯარო სკოლის მოსწავლის, თეკლეს მიერ შექმნილი ესკიზებით, დაფებზე წარწერებს ლამაზი კალიგრაფიის მქონე უფროსი ქალიშვილი, სამედიცინო უნივერსიტეტის პირველი კურსის წარჩინებული სტუდენტი ლიზი აკეთებს და ბოლოს, ჭადრაკის დაფების რეალიზებაზე პასუხს ოჯახის დიასახლისი პედაგოგი მედეა ესებუა აგებს. ჩვენი რესპონდენტი დღეს მედეა ესებუა და მისი ქალიშვილი თეკლე არიან.

-როგორ დაიწყო თქვენი ჭადრაკული თავგადასავალი?

- როდის დაიწყო კორონა პანდემია? 2020 - ში ხო, აი ზუსტად იქიდან მოდის ჩვენი „სამზითვოს“ დაბადება. „სამზითვო“ ჩვენი ოჯახური ბიზნესის ონლაინ გვერდია ინტერნეტ სივრცეში. ძველად, საუკუნეების წინ, საქართველოში მზითვად ატანდნენ ჭადრაკს „ვეფხისტყაოსანთან“ ერთად და ამიტომაც შევარჩიეთ ეს სახელი. ამ გვერდის დახმარებით ვაკეთებთ ნამუშევრების რეალიზაციას.

2020 წლამდე ხეზე მუშაობდა მეუღლე, მისთვის ეს ჰობი იყო. ზოგადად, ხელმარჯვე ადამიანია, თუ რამეს ხედავთ აქ, მისი გაკეთებულია, „ხელმარჯვე ოსტატს“ ვუწოდებთ ოჯახში. ხეზე მუშაობა ყოველთვის განსაკუთრებით უყვარდა... ეზოში მოვჭერით დიდი კაკლის ხე, ბევრი წელი გვენანებოდა დაგვეწვა შეშად. პანდემიის დროს, როდესაც ჩავიკეტეთ, იფიქრა, იმ კაკლის ხისგან გაეკეთებინა ჭადრაკის დაფა, ვნახოთ რა გამომივაო და მართლაც, შეუდგა საქმიანობას და შექმნა პირველი ჭადრაკის დაფა. ვნანობთ, რომ პირველი ნამუშევარი გაიყიდა და არ არის ჩვენს ოჯახში.

ოჯახის დიასახლისი გვიყვება, რომ ის კაკლის ხე ხუთი წელი იყო ეზოში. პანდემიის დროს, თავისუფალი დროც გაჩნდა და იდეაც ჭადრაკის და ნარდის დაფების გაკეთების. ხეზე მუშაობა ეხერხებოდა, ხელსაწყოები ჰქონდა, ოჯახისათვის და მეგობრებისათვის ამზადებდა სუვენირებს.

რატომ კაკლის ხე, იმიტომ, რომ თურმე, კაკალს ძალიან ლამაზი მასალა აქვს, მისი გული მუქია, გარეთა შრე ღია ფერის და ძალიან ლამაზია. გამძლეა და ჭია არ უჩნდება. კაკლის ხე სამწლიანი დაძველებით თუ არ არის, ვერ მუშაობს ზეზვა და ასეთი მასალის შოვნა ძალიან ჭირს ამ ეტაპისთვის, როგორც ქალბატონი მედეა ამბობს. ზეზვა თვითნასწავლი ოსტატია, თავად ეძიებს და იმპროვიზირებს ხეზე მუშაობის ხელოვნებას.

-როდესაც ზეზვამ დაამზადა პირველი ჭადრაკი, ვიფიქრეთ განგვეთავსებინა ინტერნეტში, რასაც ძალიან დიდი გამოხმაურება მოჰყვა, გამოჩნდნენ შეძენის მსურველებიც და ასე დაიწყო ჩვენი საქმანობაც. ჩვენი პირველი ხელნაკეთი ჭადრაკი თბილისში ინახება, ლიპარტელიანების ოჯახში. პირველი ნამუშევარი, პირველი ჭადრაკი ძალიან განსაკუთრებულია, განუმეორებლი. საერთოდ ყველა ნამუშევარი განსხვავებულია, ორი ერთნაირი ჭადრაკი ზეზვას ქმნილებებში არ მოიძებნება.

-ჭადრაკის ფიგურებს თუ ამზადებს თქვენი მეუღლე?

-ჭადრაკის ფიგურების დამზადება ძალიან დიდ დროს მოითხოვს, ძალიან შრომატევადია...

აქ საუბარში თეკლე ერთვება. ოჯახის უმცროსი წევრი გვიყვება რომ არსებობს დაზგა, რისი მეშვეობითაც მზადდება ფიგურები. დაზგა ძვირადღირებულია და სამომავლოდ ოჯახი გეგმავს მის შეძენას. თეკლე, როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, ჭადრაკის დაფების ესკიზებს ქმნის, მისი დიზაინით მზადდება ყველა მათგანი. ამბობს, რომ დაფების დიზაინი განსხვავებულია, ინდივიდუალური, დამკვეთის სურვილების გათვალისწინებით შექმნილი. თეკლეც თვითნასწავლია, ბავშვობიდან ხატავს და კარგადაც გამოსდის. ამბობს, რომ ამ ეტაპზე მართალია პროფესია შერჩეული აქვს და უნივერსიტეტში გეგმავს სწავლის გაგრძელებას, მაგრამ, წლების შემდეგ, ხატვას აუცილებლად მიუბრუნდება, ხატვა მისი დიდი გატაცებაა. ჭადრაკის დაფაზე მიძღვნით წარწერებს კი თეკლეს უფროსი და ლიზი აკეთებს. მას განსაკუთრებით ლამაზი კალიგრაფია აქვს და ამიტომაც ჭადრაკის დაფების დამზადების ეს ნაწილი მის პასუხისმგებლობაშია. ჭადრაკის დაფაზე წარწერების დასატანად გამოიყენებენ საწველ აპარატს, რომელიც ასევე ზეზვა ცხოვრებაშვილს დაუმზადებია. თეკლე თვლის, რომ რის გამოც მყიდველს შესაძლოა მოუნდეს მათ მიერ სიყვარულით შექმნილი ჭადრაკის ფლობა, არის ის, რომ პირველ რიგში, ექსკლუზიურია, განსხვავებული. ბევრს არ აქვს ფუფუნება, თავისი მოფიქრებული დიზაინი, იდეა სრულყოფაში მოიყვანოს ოსტატმა და ოჯახში ინახებოდეს.

-საქრთველოში ჭადრაკის დაფებს მხოლოდ ზეზვა ამზადებს, - გვიყვება მედეა ესებუა, - ბევრი იბრალებს, მაგრამ მათ ნამუშევრებს დავხედავთ თუ არა, განსაკუთრებით ჩემი მეუღლე, ვხვდებით, რომ ისინი არ არის ხელნაკეთი. დღემდე, ათასამდე ჭადრაკის დაფა აქვს დამზადებული ჩემს მეუღლეს. მას ჭადრაკის დაფის დამზადებისთვის ორი დღე სჭირდება მხოლოდ. უფრო ზუსტად, ერთი დღე, მეორე დღე დამზადებული ნივთის გაშრობას ეთმობა. ჭადრაკის გარდა ამზადებს ნარდსაც. მომწონებელი და მყიდველი საქართველოს ყველა კუთხიდან გვიკავშირდება. განსაკუთრებით თბილისიდან და ბათუმიდან ინტერესდებიან. გასულ თვეს ბათუმელმა დედამ შვილისათვის სამზითვოდ

შეიძინა ჭადრაკი. ჩვენი ჭადრაკის დაფები გავიდა საზღვარგარეთაც, გაიყიდა იტალიასა და საფრანგეთში.

ზეზვა ცხოვრებაშვილის მეუღლე, ქალბატონი მედეა და მათი უმცროსი ქალიშვილი თეკლე ექსკლუზიური ნამუშევრებით მონაწილეობას იღებენ გამოფენებში. საკუთარი ქმნილებები გასულ წელს „ხაშურობასა“ და „წაღვლი ფესტზე“ წარადგინეს. მონაწილეობდნენ კასპში ტექნოპარკში გამართულ „რეაქსილაციის“ პროგრამაში ფიგურების საჭრელი დაზგის შესაძენად შექმნილი პროექტით საჭირო დაფინანსების მისაღებად.

-ზეზვას ხელნაკეთი ჭადრაკის დაფა ინახებოდა პრეზიდენტის სასახლეში. იულია სოროკინამ, ცნობილმა საუკეთესო მეთოჯინემ საქართველოში, შეგვიკვეთა უზარმაზარი კოშკის ფორმის ჭადრაკის დაფა ზომით 80/80-ზე, სადაც განათავსა მის მიერ ცვილისგან დამზადებული „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟების ფიგურები. ნამუშევარმა გამოფენის დროს საქართველოს პრეზიდენტის ყურადღება მიიქცია და სამი წლის განმავლობაში პრეზიდენტის სასახლეში ინახებოდა ხაშურელი ოსტატის მიერ ხისგან დამზადებული ჭადრაკი.

„სამზითვო“ საკუთარი ლოგოთი უკვე ხუთი წელია ბაზარზეა. ოჯახმა ზეზვას ჰობი ბიზნესად აქცია. კითხვაზე, რატომ ჭადრაკი, პასუხის გაცემა უჭირთ. თვლიან, ალბათ უფლის ნებაა, რომ ეს საქმიანობა დაიწყეს და მისით გაძლიერდნენ. ერთი წლის უკან, ეზოში, სახელოსნოც ააშენეს და სამომავლოდ გაფართოებას გეგმავენ. სურთ, ხაშურის სახელი უფრო ფართოდ გაიტანონ, პოპულარიზაცია გაუწიონ ქალაქს მათი ნამუშევრებით და ერთგვარ სავიზიტო ბარათად გადააქციონ ხელნაკეთი, ხეში გამოთლილი ჭადრაკი ხაშურისათვის.

წარმატებებს ვუსურვებთ ერთმანეთის სიყვარულით და პასუხისმგებლობით შექმნილ ოჯახურ ბიზნესს.

თ. ახალკაცი

D

განცხადება

მოგეხმარებით ხე მცენარეების მოჭრა-გადაბელვაში, შევისყიდი კაკლის ხეს. ტელეფონი- **551 16 19 84 დათო**

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით
გაზეთი იბეჭდება თბილისში.